საქართველოს განათლების,
მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ ზემო ქედის N1 საჯარო
სკოლა

MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE,
CULTURE AND SPORT OF GEORGIA
LEPL DEDOPLISTSKARO MUNICIPALITY
VILLAGE ZEMO KEDI №1
PUBLIC SCHOOL

სოფ.ზემოქედი
v. Zemo Kedi

☎: 577 24 30 18
: *Zemokedi1@ mes.gov.ge.*

22 ნოემბერი 2018 წელი

ბრძანება N2-121

,, სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ძირითადი აქტივის (შენობა-ნაგებობის) ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული ,,საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახემწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებულ ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების'' მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის ბალანსიდან ჩამოიწეროს ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ძირითადი აქტივი შენობა-ნაგებობა (მდებარე სოფელი ზემო ქედი , საკადასტრო კოდი: ს/კ 52.09.32.281), დანართი N1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს სკოლის 2018 წლის 4 ივნისს N 2-55 ბრძანებით შექმნილ კომისიას დაესწროს სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ძირითადი აქტივის (შენობა-ნაგებობის) განადგურების პროცესს და უზრუნველყოს ჩამოწერილი ქონების განადგურების აქტის შედგენა.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის.:ქ. სიღნაღი, ც. დადიანის ქ. №15, 4200).

საფუძველი:

1. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 2018 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმი.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის 27 ივნისის NMES 5 18 00817308 თანხმობა ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ჩამოწერასთან დაკავშირებით.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ 2018 წლის 10 ოქტომბერს გაცემული ნებართვა N000009;

4. სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 7 აგვისტო N 9/44219 თანხმობა ზემო ქედის N1 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ჩამოწერასთან დაკავშირებით.

სოფელ ზემო ქედის N 1 საჯარო

სკოლის დირექტორი: / დავით სეთური/